



იუსტიციის
სამინისტრო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2024 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *LivaNova plc v Ministero dell'Economia e delle Finanze and Others, C-713/22, ECLI:EU:C:2024:642*.

მოკლე მიმოხილვა:

მოცემულ საქმეში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში: სასამართლო) განხილვის საგანს წარმოადგენდა 1982 წლის 17 დეკემბრის საბჭოს მეექვსე დირექტივის 82/891/EEC მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტის (ამჟამინდელი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის (EU) დირექტივის 2017/1132 137-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი) ინტერპრეტაცია. უფრო კონკრეტულად, სასამართლოს უნდა დაედგინა, აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული ტერმინი „ვალდებულება“ მოიცავდა თუ არა გაყოფის გეგმის პროექტით *განუსაზღვრელ* ვალდებულებებს, როგორიცაა დასუფთავებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ხარჯები, რომლებიც დადგინდა, შეფასდა ან გაერთიანდა გაყოფის შემდეგ და წარმოადგენდა გაყოფამდე განხორციელებული ქმედების შედეგს. (პარა. 58).

სასამართლომ შენიშნა, რომ დირექტივა 82/891/EEC არ შეიცავს რაიმე სპეციალურ განმარტებას, თუ რა იგულისხმება მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ ტერმინში „ვალდებულება“. დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, ევროკავშირის სამართლის ისეთ დებულებებში გამოყენებულ ტერმინებს, რომლებიც არ შეიცავს პირდაპირ მითითებას წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე, უნდა მიეცეს ავტონომიური და ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია. შესაბამისად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ამ ტერმინების ჩვეულებრივი (ყოფითი) მნიშვნელობით და განმარტებისას გაითვალისწინოს როგორც ის კონტექსტი, რომელშიც ისინი გამოიყენება, ისევე ევროკავშირის იმ კანონმდებლობის მიზნები, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენს (პარა. 60-61).

სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ „ვალდებულების“ ცნების ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის მოიცავს ყოველგვარ დავალიანებას (გარკვეულსა თუ გაურკვეველს, განსაზღვრულსა თუ განუსაზღვრელს, მისი წარმოშობისა და ბუნების მიუხედავად), რომელიც იურიდიულ ან ფიზიკური პირებს აკისრიათ (პარა. 62).

ამასთან, დირექტივის 82/891/EEC მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (h) ქვეპუნქტის შესაბამისად, „გაყოფის გეგმის პროექტით სულ მცირე უნდა განისაზღვროს [...] თითოეული მიმღები კომპანიისთვის

გადასაცემი აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტი აღწერა და განაწილება”. ვინაიდან გაყოფის გეგმის პროექტში სავალდებულოა გადასაცემი ვალდებულებების ზუსტი აღწერისა და განაწილების მითითება, აღნიშნული ვალდებულებები გაყოფამდე უნდა იყოს წარმოშობილი. დასუფთავების ხარჯებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის კონტექსტში ეს მოთხოვნა გულისხმობს, რომ დარღვევა ან გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამომწვევი მოვლენა კომპანიის გაყოფამდე დადგა; თანაც აუცილებელი არაა, ამ მომენტისთვის ზიანი დადგენილი, შეფასებული ან თუნდაც გაერთიანებული იყოს (პარა. 64).

გარდა ამისა, როგორც ეს დირექტივის 82/891/EEC პრეამბულის მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტებიდან გამომდინარეობს, დირექტივა მიზნად ისახავს როგორც კომპანიის აქციონერების, ისე “მესამე პირების” (მათ შორის, და არა მხოლოდ, კრედიტორებისა და კომპანიის მიმართ მოთხოვნის მფლობელი სხვა პირების) ინტერესების დაცვას, რათა დაყოფამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მათზე. უფრო კონკრეტულად, დირექტივის პრეამბულის მე-5 პუნქტი მიუთითებს, რომ დირექტივის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს “აქციონერებისა და მესამე პირების ინტერესების დაცვა”; პრეამბულის მე-8 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დირექტივა ასევე იცავს “კრედიტორებს[სა] [...] და სხვაგვარი მოთხოვნების მქონე პირებს[ს] [...], რათა გაყოფამ უარყოფითად არ იმოქმედოს მათ ინტერესებზე”; პრეამბულის მე-11 პუნქტი კი დამატებით იუწყება, რომ დირექტივის მიზანია სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფა გაყოფაში მონაწილე კომპანიებს შორის, აღნიშნულ კომპანიებსა და მესამე პირებს შორის, აგრეთვე აქციონერებს შორის არსებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით (პარა. 65).

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია “მესამე პირებად” ჩაითვალოს ის პირებიც, რომლებიც, მართალია, შესაბამისი გაყოფის თარიღისთვის ჯერ არ იყვნენ კრედიტორები ან სხვა მოთხოვნების მქონე პირები, თუმცა შესაძლოა ასეთები გახდნენ გაყოფის შემდეგ, გაყოფამდე მომხდარი მოვლენების შედეგად (პარა. 67).

„მესამე პირების“ ამგვარი განმარტება სრულად შეესაბამება დირექტივის 82/891/EEC მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში გამოყენებული „ვალდებულების“ ინტერპრეტაციას იმ თვალსაზრისით, რომ ის ასევე მოიცავს განუსაზღვრელ ვალდებულებებს, როგორცაა დასუფთავებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ხარჯები, რომლებიც დადგინდა, შეფასდა ან გაერთიანდა გაყოფის შემდეგ, თუმცა წარმოიშვა გაყოფამდე განხორციელებული ქმედების შედეგად (პარა. 68).

როგორც ეს გადაწყვეტილების 64-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს, „ვალდებულების“ ცნება მოიცავს მხოლოდ დასუფთავებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ხარჯებს, რომელიც გაყოფამდე განხორციელებული ქმედების შედეგად დადგა (პარა. 73).

სასამართლომ, ასევე, იმსჯელა საკითხზე, უნდა დაეკისროს თუ არა მიმღებ კომპანიას პასუხისმგებლობა გაყოფის შემდგომ განხორციელებული ისეთი ქმედებისათვის, რომელიც წარმოადგენს გაყოფილი კომპანიის მიერ გაყოფამდე განხორციელებული ქმედების გაგრძელებას („განვითარებას“) და დაასკვნა, რომ აღნიშნულ კითხვას პასუხი ეროვნული კანონმდებლობით უნდა გაეცეს¹ (პარა. 74).

¹ მთარგმნელის კომენტარი: ამ კუთხით იხ. ასევე სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Türkevei Tejtermelő Kft.*, C-129/16, EU:C:2017:547, პარა. 45.

ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივის 82/891/EEC მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მიმღები კომპანიების სოლიდარული პასუხისმგებლობის წესი გავრცელდეს არა მხოლოდ განსაზღვრულ ვალდებულებებზე, რომლებიც არ განაწილებულა გაყოფის გეგმის პროექტით, არამედ განუსაზღვრელ ვალდებულებებზეც, როგორცაა დასუფთავებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ხარჯები, რომლებიც დადგინდა, შეფასდა ან გაერთიანდა გაყოფის შემდეგ და წარმოადგენს გაყოფილი კომპანიის მიერ გაყოფამდე განხორციელებული ქმედების შედეგს (პარა. 76).

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

„11 მეექვსე დირექტივის მე-3 მუხლი აღგენდა, რომ:

[...]

3. [...]

(b) თუ ვალდებულება არ არის მიკუთვნებული² გაყოფის გეგმის პროექტით³ და თუ აღნიშნული გეგმის განმარტება არ იძლევა მისი მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, თითოეული მიმღები კომპანია⁴ სოლიდარულად⁵ აგებს მასზე პასუხს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ ასეთი სოლიდარული პასუხისმგებლობა შემოიფარგლოს თითოეული კომპანიისთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივებით.”

[...]

„60 [...] მეექვსე დირექტივის 82/891 მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებული „ვალდებულების“ ცნება აღნიშნული დირექტივით განსაზღვრული არ არის.“

[...]

„61 დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, ევროკავშირის სამართლის ისეთ დებულებებში გამოყენებულ ტერმინებს, რომლებიც არ შეიცავს პირდაპირ მითითებას წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე, [...] ჩვეულებრივ, [...] უნდა მიეცეს ავტონომიური⁷ და ერთგვაროვანი⁸ განმარტება, რომელიც უნდა დადგინდეს ამ ტერმინების ყოფითი მნიშვნელობის

² მთარგმნელის კომენტარი: იგულისხმება გაყოფილი კომპანიის კონკრეტული ვალდებულებ(ებ)ის მიკუთვნება (გადაცემა) დაყოფის შედეგად ახლად დაფუძნებული ან უკვე არსებული (ე.წ. შემძენი) კომპანი(ებ)ისათვის.

³ მთარგმნელის კომენტარი: ეს გეგმა განსაზღვრავს გაყოფის პირობებს. შდრ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლი.

⁴ მთარგმნელის კომენტარი: იგულისხმება დაყოფის შედეგად ახლად დაფუძნებული ან უკვე არსებული კომპანია, რომელსაც გადაეცა (მიეკუთვნა) გაყოფილი კომპანიის განსაზღვრული ვალდებულებები.

⁵ მთარგმნელის კომენტარი: მიმღებ კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (მაგრამ არაუმეტეს გაყოფის გეგმით მისთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივებისა).

⁶ მთარგმნელის კომენტარი: გაყოფის გეგმის პროექტით „მოუკუთვნებელ“ ვალდებულებაზე.

⁷ მთარგმნელის კომენტარი: სასამართლოს მიერ კონკრეტული ტერმინი განიმარტება ევროკავშირის იმ კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს და არა წევრ სახელმწიფო(ებ)ში იმავე ტერმინისთვის მინიჭებული მნიშვნელობის შესაბამისად.

⁸ მთარგმნელის კომენტარი: ევროკავშირის სამართლის ნორმები უნდა განიმარტოს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ. შედეგად, წევრი სახელმწიფოები და ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, აღნიშნული ნორმები გამოიყენონ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს ევროკავშირის კანონმდებლობის ერთგვაროვან მოქმედებას ყველა წევრ სახელმწიფოში.

მიხედვით იმის გათვალისწინებით, თუ რა კონტექსტშია ისინი გამოყენებული და თუ რა მიზნებს ემსახურება ის კანონმდებლობა, რომლის ნაწილსაც ეს ტერმინები წარმოადგენს“.

[...]

„62 შესაბამისად, მეექვსე დირექტივის 82/891 მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში [გამოყენებული] „ვალდებულების“ ცნების მიზანია, უფრო ფართოდ მოიცვას გაყოფილი კომპანიის ნებისმიერი ვალდებულება, იქნება ის გარკვეული თუ გაურკვეველი, განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი, მისი წარმოშობისა და ბუნების მიუხედავად.

63 [...] რაც შეეხება მეექვსე დირექტივის 82/891 მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტის პირველი წინადადების კონტექსტს, უნდა აღინიშნოს, რომ მეექვსე დირექტივის მე-3 მუხლის (2)(h) ქვეპუნქტის თანახმად, გაყოფის გეგმის პროექტში, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა მიეთითოს თითოეული მიმღები კომპანიისთვის გადასაცემი აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტი აღწერა და განაწილება.“

[...]

„64 [...] ეს მოთხოვნა [თავისთავად] გულისხმობს იმას, რომ დარღვევა ან გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამომწვევი მოვლენა დადგა გაყოფამდე, მაგრამ არა იმას, რომ ზიანი დადგენილი, შეფასებული ან, თუნდაც, გაერთიანებული იყო აღნიშნული თარიღისთვის“.

65 [...] მეექვსე დირექტივის 82/891 მიზნებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მეექვსე დირექტივის პრეამბულის მეხუთე პუნქტი, აღნიშნულ მიზნებს შორის, [მიუთითებს] მონაწილეებისა¹⁰ და მესამე პირების ინტერესთა დაცვაზე. მეექვსე დირექტივის პრეამბულის მერვე პუნქტიდან, ასევე, ირკვევა, რომ დირექტივა მიზნად ისახავს კრედიტორებისა და სხვა მოთხოვნების მქონე პირების დაცვას [...] დაბოლოს, მეექვსე დირექტივის პრეამბულის მეთერთმეტე პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ დირექტივის მიზანია კანონმდებლობაში გარკვეული სიცხადის შეტანა გაყოფაში მონაწილე კომპანიებს შორის, ამ კომპანიებსა და მესამე პირებს შორის და უშუალოდ ამ კომპანიის მონაწილეებს შორის [არსებულ] ურთიერთობებთან დაკავშირებით.“

[...]

„67 ამიტომ, აუცილებელია მესამე პირებად ჩაითვალოს ის პირები, [...] რომლებიც, თუმცა შესაბამისი გაყოფის თარიღისთვის ჯერ კიდევ არ არიან კრედიტორები ან სხვა მოთხოვნების მქონე პირები, მაგრამ შესაძლოა ასეთები გახდნენ აღნიშნული გაყოფის შემდგომ, გაყოფამდე არსებული მოვლენების შედეგად.“

[...]

„73 მოცემული გადაწყვეტილების 64-ე პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ „ვალდებულების“ ცნება მეექვსე დირექტივის 82/891 მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტის მნიშვნელობით, მოიცავს მხოლოდ დასუფთავებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა გაყოფილი კომპანიის მიერ გაყოფის თარიღამდე განხორციელებული ქმედების შედეგად.“

9 მთარგმნელის კომენტარი: იგულისხმება გაყოფის თარიღი.

10 მთარგმნელის კომენტარი: იგულისხმება აქციონერები.

[...]

„76 [...] მეექვსე დირექტივის 82/891/EEC მე-3 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტი, [...] უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მიმღები კომპანიების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ წესი, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნულ დებულებაში, გავრცელდეს არა მხოლოდ განსაზღვრულ ვალდებულებებზე¹¹, რომლებიც არ განაწილებულა გაყოფის გეგმის პროექტით, არამედ განუსაზღვრელ ვალდებულებებზეც, როგორიცაა დასუფთავებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ხარჯები, რომლებიც დადგინდა, შეფასდა ან გაერთიანდა შესაბამისი გაყოფის შემდეგ, იმდენად, რამდენადაც ისინი გამომდინარეობს გაყოფილი კომპანიის მიერ გაყოფამდე განხორციელებული ქმედებიდან.“

<i>ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი</i>	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXVIII.
<i>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება</i>	1982 წლის 17 დეკემბრის საბჭოს მეექვსე დირექტივა 82/891/EEC, რომელიც ეფუძნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების გაყოფის შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(გ) ქვეპუნქტს.
<i>ევროკავშირის სამართლის დებულება</i>	დირექტივის 82/891/EEC მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (b) ქვეპუნქტი.
<i>ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა</i>	“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მე-5 პუნქტი. (სარეგისტრაციო კოდი: 240000000.05.001.020373; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
<i>საკვანძო ტერმინი</i>	კომპანიის გაყოფა; გაყოფის გეგმა.
<i>ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართალი</i>	სასამართლოს 2024 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე LivaNova plc v Ministero dell'Economia e delle Finanze and Others, C-713/22, ECLI:EU:C:2024:642 .

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.

¹¹ მთარგმნელის კომენტარი: იგულისხმება გაყოფის გეგმის პროექტით განსაზღვრული ვალდებულებები.